ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციული სამსახური
ADMINISTRATION OF KUTAISI CITY
MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **01-442314323**
თარიღი: **23/05/2023**

ადრესატი: ნაზიბროლა რეხვიაშვილი
პირადი ნომერი: 62011003485
მისამართი: ელ. ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com

მოქალაქე ნაზიბროლა რეხვიაშილს
მის: ბათუმი წერეთლის ქუჩა N6, ბ.43

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი მომართვის (რეგისტრაციის ნომერი 19/442312587-01) პასუხად წარმოგიდგენთ მოთხოვნილ ინფორმაციას:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე წარმოებს ბინის მაძიებელთა ერთიანი ბაზა. შემოტანილი განცხადებების განხილვა ხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის სხდომებზე. ინფორმაციის გაზიარება ხდება პერიოდულად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სრულად. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი შეყვანილია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის შემადგენლობაში. აღნიშნული კომისია შეიქმნა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 28 თებერვლის N528 ბრძანებით. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განხორციელდა უსახლკარო სტატუს მინიჭებული ოჯახების (70 ოჯახი და 11 მიუსაფარი პირი) ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქ. №40გ-ში მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე არსებულ, სოციალურ საცხოვრისის შენობაში განთავსება.

სულ შენობაში ირიცხება 80 (ერთოთახიანი და ორ ოთახიანი) საცხოვრებელი ფართი. ასევე არის მამაკაცთა საერთო საცხოვრებელი, საერთო სარგებლობის ოთახი, გადაუდებელი აუცილებლობის დროს ე.წ ღამის გასათევი ფართი. სოციალურ საცხოვრისთან უახლოეს მანძილზე არის განთავსებული სკოლა, ბაღი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, მე-4 პოლიკლინიკა, ნიკეას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, იმერეთის სამხარეო დეპარტამენტის პოლიციის მე-4 განყოფილების შენობა, აფთიაქი. მადლიერების სახლში გადასაადგილებლად ჭირდებათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, სადაც ასევე მგზავრობის გადასახადებზე დაწესებული აქვთ გარკვეული შეღავათები.

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N40გ-ში არსებული სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯები ზამთრის პერიოდში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და ზოგ შემთხვევაში მარტის თვეშიც) ანაზღაურდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული ლიმიტების /1 ოთახიანი-60 ლარამდე, 2 ოთახიანი-80 ლარამდე, 3 ოთახიანი-100

ლარამდე/ შესაბამისად, ხოლო ლიმიტის ზევით მოხმარებული ელ.ენერგიის დავალიანების დაფარვა ხორციელდება უშუალოდ საცხოვრისის მობინადრეთა მიერ.

ასევე წელიწადში ერთხელ მერიის სარეზერვო ფონდიდან თითოეული ოჯახი საჭიროებისამებრ იღებს მატერიალურ დახმარებას.

გარდაცვალების შემთხვევაში ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ხდება საფლავისა და სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

ასევე საცხოვრისის მობინადრეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ტექნიკური სახის ღონისძიებები. კერძოდ: ბუნებრივი აირის მიწოდებისათვის აუცილებელი ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით შპს „სანოს“ მიერ ბენეფიციართა ოთახებში არსებული მეტალო პლასტმასის ფანჯრების გაღების სისტემების სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა და ამასთანავე აღმოიფხვრა კარების ბლოკების ჩამაგრების დეფექტები. დამონტაჟდა ცენტრალური შესასვლელისა და სადარბაზოს შიდა კარებები. 20-ზე მეტ ოჯახს გამოეცვალა საცხოვრებელ ფართებში შესასვლელი დაზიანებული კარებები. საცხოვრისის ცალკეულ ფართებში სანიტარული კვანძების დაზიანებისა და კერამიკული ფილებით მოპირკეთების მნიშვნელოვანი ხარვეზების შედეგად შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანიზაციას გაეგზავნა მიმართვა სათანადო რეაგირების თაობაზე.

სოციალური საცხოვრისის ჰოლსა და დერეფნებში შეიცვალა სრულად ელექტრო გაყვანილობის შიდა სისტემა გაზრდილი კვეთის მქონე ელექტრო სადენებით, რამაც გააუმჯობესა ბენეფიციართა საცხოვრებელ ფართებში ელექტრო მომარაგების საკითხი. მიმდინარე წლის 11 იანვარს ქალაქში განვითარებული ძლიერი ქარის (სტიქიის შედეგად) სოციალური საცხოვრისის შენობის დაზიანებულ სახურავს ჩაუტარდა კაპიტალური შეკეთება და ტექნოლოგიური პროცესების სრული დაცვით განხორციელდა აღნიშნული საცხოვრისის ბრტყელი სახურავის სრული რეაბილიტაცია.

რაც შეეხება აღნიშნულ სახლში შესახლებული ოჯახების ალტერნატიულ ფართში გადაყვანას გაცნობებთ, რომ საკითხის არსებობის შემთხვევაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციის და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია იმსჯელებს არსებულზე და მიღებული იქნება კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

სოციალური საცხოვრისის მშენებლობისთვის შეირჩა შპს "სანო" (ს/ნ 405130273) კონკურსის წესით და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე არ იძებნება. ვინაიდან აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი გადაგზავნილია საგამოძიებო უწყებაში. შემსრულებელ კომპანიას ჯამში გადაერიცხა 3 823 400 ლარი.

პატივისცემით,

პეტრე ადამაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია პირველადი
სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახური
- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 4600, **ქუთაისი, რუსთაველის გამზ.** N3 **ტელ:** (+431) 240648; **ელ-ფოსტა:** CONTACT@KUTAISI.GOV.GE;
ვებ-გვერდი: WWW.KUTAISI.GOV.GE
N3 RUSTAVELI AVE, KUTAISI. GEORGIA, 4600. TELEPHONE: (+431) 240648; E-MAIL: CONTACT@KUTAISI.GOV.GE, WEBSITE: WWW.KUTAISI.GOV.GE